საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 141 2024 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების“ შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს ზაზა თაქთაქიშვილს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ნინო გვეტაძეს, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილეს თეა გვარამაძეს და ამავე სააგენტოს სახელმწიფო პროგრამების

ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ლია ბექაურს, მიენიჭოთ უფლებამოსილება, წარმოადგინონ და დაიცვან საქართველოს მთავრობის ინტერესები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს სახალხო დამცველის №1773 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით და ისარგებლონ ყველა იმ უფლებით, რაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებს.

ირაკლი კობახიძე